სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 126

(გამარტივებული შესყიდვა, CPV 71631420)

ქ. ფოთი „19" სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ,
ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური", ს/კ 215082764
მისამართი: ქ. ფოთი, დ. თავდადებულის ქუჩა N 93,
საბანკო რეკვიზიტები: ,,სახელმწიფო ხაზინა", ბანკის კოდი: TRESGE22, ა/ა: 707247519,
დირექტორის მ/შ მამუკა პაპასკირი, შემდგომში „შემსყიდველ"–ს და

მეორეს მხრივ,
შ.პ.ს. ,,საზღვაო ლოიდი", ს/კ 245535773;
მისამართი: ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. N 34 „ა", ტელ: 995 422 27 75 37;
ელ.ფოსტა: stat@geollyd.com., საბანკო რეკვიზიტი: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22ა/ა: GE45BG0000000116099300;
დირექტორი ელენე რუხაძე, შემდგომში „მიმწოდებელს" შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში ,,ხელშეკრულება"), შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3 ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას „შემსყიდველ"–ის ბალანსზე რიცხულ მცურავ საშუალება „დ.ჰ.კ.–81"–ზე გასცეს გემის სარეგისტრაციო მოწმობა.

N	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი	ღირებულება
1	გემის რეგისტრაციის მოწმობის გაცემა (მცურავი საშუალება ,,დ.ჰ.კ – 81").	ერთეული	1	684.00	684.00
	სულ:				684.00

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 684.00 (ექვსასოთხმოცდაოთხი ლარი, 00 თეთრი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 მომსახურების მოწოდების ვადები

4.1 შესყიდული მომსახურების მოწოდება უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის

განმავლობაში. ერთჯერადად უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში ლარში მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი გრიგოლ ჯგუბურიას;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება

7. მხარეების პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს – მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შეუსრულებლობა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანგციების გამოყენებას.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლი 05 ნოემბრის ჩათვლით.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია.

9.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მესამე პირს.

9.3 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

,,შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"-ს

დირექტორის მ/შ: მ. პაპასკირი

,,მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „საზღვაო ლოიდი"-ს დირექტორი: ე. რუხაძე